სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სასწავლო-კვლევითი ცენტრი

"სტუ ნეტTV"

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
2017 წლის 21 აპრილ #-2385- დადგენილებით

და დამტკიცებულია უნივერსიტეტის სენატის
მიერ 2017 წლის 10 ივნ #---11--- გადაწყვეტილებით.

თბილისი

2017

1.ზოგადი დებულებები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ინოვაციური პროექტების პრაქტიკაში ადაპტირების სასწავლო-საპროექტო ცენტრი "**სტუ**ნეტTV" (შემდგომში ცენტრი) შექმნილია და დამტკიცებულია სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს და სტუ-ს აკადემიური საბჭო 20.. წლის ----------№ ---------- დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭო 20.. წლის ---------- №---- ოქმის №--------- გადაწყვეტილებით.
- ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით, ის შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე დაკვეთებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;
- საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;
- რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭო მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა.

2. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

- სტუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, პროფესიული განათლების სტუდენტების (შემდგომში - სტუდენტების) პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა შესაბამისი მიმართულებებით, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ცენტრის პროფილის შესაბამისად.

- საინფორმაციო გადაცემა „კვირეული“;
- შემეცნებით-პროგრამა „დუბლი 1“;
- სტუდენტური გადაცემა „თავისუფალი აზრი“;
- ცნობილები გადაცემაში „პატიმარი“;
- უნივერსიტეტის პრეზენტაციები;
- სტუ-ს შეხვედრების გადაღება;
- სიახლეების გაშუქება;
- მოკლე სამეცნიერო-სასწავლო ფილმები (გადაღება-მონტაჟი);
- ონლაინ ლექციები;
- ონლაინ პრეზენტაციები;
- მწვანე ფონთან გადაღება-მონტაჟი;
- შეხვედრების პირდაპირ ეთერში გაშვება;
- ღონისძიებების პირდაპირ ეთერში გაშვება-ტრანსლაცია;
- ანონსების დამზადება;
- მუსიკალური კლიპები;
- სპორტული რგოლები;
- კულტურული რგოლები;
- წვეულებების რგოლები;
- 3D გადაღება-(სამ განზომილებიანი ფორმატით გადაღება)
- გრაფიკა;
- საიტის შექმნა;
- დიზაინი;
- Live strime;
- აპლიკაციების დამზადება;
- მწვანე ფონზე გადაღება;
- სურათების დამუშავება;
- ბანერების დამზადება;

3. ცენტრის შემადგენლობა და მართვა

- ცენტრის ძირითად შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ:

  ა) სტუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტებზე არსებული მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ჩამოყალიბებული სექტორები;
- ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით.
- ცენტრის უფროსი უფლებამოსილია:

  ა) განახორციელოს ცენტრის თანამშრომლების კონტროლი მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურება-განკარგვასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

  ბ) მოაწყოს ცენტრის მიერ მიმდინარე პროექტების პრეზენტაციები;

  გ) განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აუცილებელი საქმიანობა;

  დ) შეასრულოს დაკვეთილი ხელშეკრულებების პროექტები.
- ცენტრის უფროსი სამუშაო ჯგუფთან ერთად ენიჭება პასუხისმგებლობა, სამუშაოების შესრულების ვადებზე და ცენტრისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენება-შენახვასა და გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;
- ცენტრის პერსონალი შედგება უფროსისა და დამხმარე პერსონალისაგან (საჭიროების შემთხვევაში).
- ცენტრის პერსონალს ნიშნავს და სამუშაოდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე;
- ცენტრის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება სხვადასხვა შემოსავლების მიხედვით და ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით.
- იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში მიღებული წესის და ფორმების შესაბამისად;

- ცენტრის უფროსი ყოველი საფინანსო წლის ბოლოს ანგარიშს აბარებს სტუ-ს ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში.

4. ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები.

- ცენტრი განლაგებულია: კოსტავას ქ. №77
- ცენტრი საქმიანობას წარმართავს თვითდაფინანსების პრინციპით. ამავე დროს ის არ არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკევებული სუბიექტი და წარმოადგენს უნივერსიტეტის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს;

  ცენტრის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს) განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, რომლის საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო განყოფილება აწარმოებს ფინანსურ მენეჯმენტს;
- სამუშაოების წარმოების საფუძველს წარმოადგენს სტუ-ს დავალება, ასევე ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე სხვა დამკვეთსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება;
- გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების

  საფუძველზე; ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით;

5. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

6. დასკვნითი დებულებები

- წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.